# აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №7

# 2018 წლის 7 დეკემბერი

# ქ.თბილისი

## „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

**მუხლი 1**

„აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №11 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 04/01/2018; 190020020.35.102.016165) დამტკიცებული №1 დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი №1 დანართით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჟარის (ზემო აფხაზეთის)
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — სპარტაკ გურჩიანი

**დანართი №1**

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | | | 2017წლის გეგმა | | | 2018წლისგეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 1,099.7 | 0.0 | 1,099.7 | 1,099.8 | 25.0 | 1,074.8 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| გადასახადები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გრანტები | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 |
| სხვა შემოსავლები | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.4 | 0.0 | 0.4 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | 1,076.8 | 0.0 | 1,076.8 | 1,083.2 | 25.0 | 1,058.2 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| შრომის ანაზღაურება | 516.1 | 0.0 | 516.1 | 466.8 | 23.1 | 443.7 | 502.4 | 25.0 | 477.4 |
| საქონელი და მომსახურება | 127.8 | 0.0 | 127.8 | 140.9 | 0.0 | 140.9 | 137.4 | 0.0 | 137.4 |
| სუბსიდიები | 70.6 | 0.0 | 70.6 | 66.8 | 0.0 | 66.8 | 71.4 | 0.0 | 71.4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 261.4 | 0.0 | 261.4 | 279.9 | 1.9 | 278.0 | 266.5 | 0.0 | 266.5 |
| სხვა ხარჯები | 100.9 | 0.0 | 100.9 | 128.8 | 0.0 | 128.8 | 122.3 | 0.0 | 122.3 |
| საოპერაციო სალდო | 22.9 | 0.0 | 22.9 | 16.6 | 0.0 | 16.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 11.6 | 0.0 | 11.6 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 11.6 | 0.0 | 11.6 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მთლიანი სალდო | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | | | 2017წლის გეგმა | | | 2018წლისგეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 1,099.7 | 0.0 | 1,099.7 | 1,099.8 | 25.0 | 1,074.8 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| გადასახადები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გრანტები | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 |
| სხვა შემოსავლები | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.4 | 0.0 | 0.4 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | 1,076.8 | 0.0 | 1,076.8 | 1,083.2 | 25.0 | 1,058.2 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| შრომის ანაზღაურება | 516.1 | 0.0 | 516.1 | 466.8 | 23.1 | 443.7 | 502.4 | 25.0 | 477.4 |
| საქონელი და მომსახურება | 127.8 | 0.0 | 127.8 | 140.9 | 0.0 | 140.9 | 137.4 | 0.0 | 137.4 |
| სუბსიდიები | 70.6 | 0.0 | 70.6 | 66.8 | 0.0 | 66.8 | 71.4 | 0.0 | 71.4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 261.4 | 0.0 | 261.4 | 279.9 | 1.9 | 278.0 | 266.5 | 0.0 | 266.5 |
| სხვა ხარჯები | 100.9 | 0.0 | 100.9 | 128.8 | 0.0 | 128.8 | 122.3 | 0.0 | 122.3 |
| საოპერაციო სალდო | 22.9 | 0.0 | 22.9 | 16.6 | 0.0 | 16.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 11.6 | 0.0 | 11.6 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 11.6 | 0.0 | 11.6 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მთლიანი სალდო | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 11.3 | 0.0 | 11.3 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| *ნაშთის ცვლილება* | *11.3* | *0.0* | *11.3* | *14.2* | *0.0* | *14.2* | *0.0* | *0.0* | *0.0* |

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 2018 წელს – 1100.0 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | | 1,099.7 | 0.0 | 1,099.7 | 1,099.8 | 25.0 | 1,074.8 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| შემოსავლები | | 1,099.7 | 0.0 | 1,099.7 | 1,099.8 | 25.0 | 1,074.8 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| შემოსავლები | 1 | 1,099.7 | 0.0 | 1,099.7 | 1,099.8 | 25.0 | 1,074.8 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| გადასახადები | 11 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ქონების გადასახადი | 113 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113 111 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | 13 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 | 1,099.6 | 25.0 | 1,074.6 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 1,074.6 | | 1,074.6 | 1,074.6 | | 1,074.6 | 1,074.6 | | 1,074.6 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 25.0 | | 25.0 | 25.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 25.0 | 0.0 |
| სხვა შემოსავლები | 14 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.4 | 0.0 | 0.4 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 142299 | 0.0 | | | 0.1 | | 0.1 | 0.0 | | |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 0.1 | | 0.1 | 0.1 | | 0.1 | 0.4 | | 0.4 |

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1099,6 ათასი ლარის ოდენობით:

| აჟარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 1,074.6 | | 1,074.6 | 1,074.6 | | 1,074.6 | 1,074.6 | | 1,074.6 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 25.0 | | 25.0 | 25.0 | | 25.0 | 25.0 | | 25.0 |

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**
2018 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადებიდან შემოსავალი არ იგეგმება.

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 0,4 ათ. ლარით.

| აჭარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | კოდი | 2016წლის ფაქტი | | | 2017წლის გეგმა | | | 2018წლისგეგმა | | |
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 14 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.4 | 0.0 | 0.4 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 0.1 | | 0.1 | 0.2 | | 0.2 | 0.4 | | 0.4 |

**მუხლი 7. არაფინანსური აქტივების ცვლილება**
2018 წელს არაფინანსური აქტივების ცვლილება არ იგეგმება.

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები 1,100.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 1,076.8 | 0.0 | 1,076.8 | 1,083.2 | 25.0 | 1,058.2 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |
| შრომის ანაზღაურება | 516.1 | 0.0 | 516.1 | 466.8 | 23.1 | 443.7 | 502.4 | 25.0 | 477.4 |
| საქონელი და მომსახურება | 127.8 | 0.0 | 127.8 | 140.9 | 0.0 | 140.9 | 137.4 | 0.0 | 137.4 |
| სუბსიდიები | 70.6 | 0.0 | 70.6 | 66.8 | 0.0 | 66.8 | 71.4 | 0.0 | 71.4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 261.4 | 0.0 | 261.4 | 279.9 | 1.9 | 278.0 | 266.5 | 0.0 | 266.5 |
| სხვა ხარჯები | 100.9 | 0.0 | 100.9 | 128.8 | 0.0 | 128.8 | 122.3 | 0.0 | 122.3 |

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**
ფინანსური აქტივების ცვლილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2018 წლისათვის განსაზღვრული არ

არის.

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდები**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდები 2018წელს შეადგენს 0,5 ათ. ლარს.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | | 2018 გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდ | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდა | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდა | საკუთარი შემოსავლები |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 | 4.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 | 4.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.0 | 0.0 | 4.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| 01 04 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.0 | 0.3 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქც. კოდი | დასახელება | 2016წლის ფაქტი | | | 2017წლის გეგმა | | | 2018წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდეიდაი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდა | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 609.8 | 0.0 | 609.8 | 566.5 | 0.0 | 566.5 | 595.5 | 0.0 | 595.5 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 609.8 | 0.0 | 609.8 | 566.5 | 0.0 | 566.5 | 595.5 | 0.0 | 595.5 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 609.8 | 0.0 | 609.8 | 566.5 | 0.0 | 566.5 | 595.0 | 0.0 | 595.0 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 702 | თავდაცვა | 24.2 | 0.0 | 24.2 | 25.0 | 23.1 | 1.9 | 29.1 | 25.0 | 4.1 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 70411 | საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 7.3 | 0.0 | 7.3 | 4.1 | 0.0 | 4.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 7.3 | 0.0 | 7.3 | 4.1 | 0.0 | 4.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 78.1 | 0.0 | 78.1 | 67.3 | 0.0 | 67.3 | 72.5 | 0.0 | 72.5 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 46.0 | 0.0 | 46.0 | 38.7 | 0.0 | 38.7 | 35.5 | 0.0 | 35.5 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 31.1 | 0.0 | 31.1 | 28.6 | 0.0 | 28.6 | 37.0 | 0.0 | 37.0 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 1.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 709 | განათლება | 21.1 | 0.0 | 21.1 | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 21.1 | 0.0 | 21.1 | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 347.9 | 0.0 | 347.9 | 401.5 | 1.9 | 399.6 | 381.5 | 0.0 | 381.5 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 69.4 | 0.0 | 69.4 | 93.5 | 0.0 | 93.5 | 89.7 | 0.0 | 89.7 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 38.2 | 0.0 | 38.2 | 39.5 | 0.0 | 39.5 | 44.5 | 0.0 | 44.5 |
| 7103 | ომში დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა | 16.0 | 0.0 | 16.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 94.2 | 0.0 | 94.2 | 47.5 | 0.0 | 47.5 | 48.1 | 0.0 | 48.1 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 116.1 | 0.0 | 116.1 | 193.0 | 0.0 | 193.0 | 169.7 | 0.0 | 169.7 |
| | სხვა არაკლასიფიცირებული | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7109 | საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 14.0 | 0.0 | 14.0 | 13.0 | 1.9 | 11.1 | 14.5 | 0.0 | 14.5 |
| | სულ | 1,088.4 | 0.0 | 1,088.4 | 1,085.6 | 25.0 | 1,060.6 | 1,100.0 | 25.0 | 1,075.0 |

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
2018 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -0,0 ლარის ტოლია.

**მუხლი 13. ფულადი ჯილდოები, დანამატები და დახმარებები**
2018 წლის განმავლობაში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე ფულადი ჯილდოების, დანამატების, დახმარების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 14. ადგილობრივი შესყიდვები**
თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით შესყიდვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 15. საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯვა**
1. დაუშვებელია ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების გაცემა შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდის გარეშე.

2. სახსრების ის ნაწილი, რომელიც ფისკალური წლის განმავლობაში არ იქნა ათვისებული, გამოიყენება მომდევნო წელს.

3. აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის პროგრამები და ღონისძიებები ხორციელდება გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ხელშეკრულების საფუძველზე, მათზე კონტროლი (ინსპექტირება) დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს გამგებლის ბრძანებით.

4. გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გაცემა განხორციელდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხას გამოყოფს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

**მუხლი 16. მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯვა**
დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 25,0 ათ. ლარის ოდენობით მთლიანად მიიმართოს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების ხარჯებისათვის.

**მუხლი 17. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის (დახმარების) პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის, სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული მონაცემების და ამ ბიუჯეტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

**მუხლი 18. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**
აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის განვითარებისათვის, 2018 წელს მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია, ძირითადი პრიორიტეტებია:

| ორგ. ოდი | დასახელება | 2016წლის ფაქტი | | | 2017წლის ფაქტი | | | 2018გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 609.8 | 0.0 | 609.8 | 566.5 | 0.0 | 566.5 | 595.5 | 0.0 | 595.5 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 24.2 | 0.0 | 24.2 | 25.0 | 23.1 | 1.9 | 29.1 | 25.0 | 4.1 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 7.3 | 0.0 | 7.3 | 4.1 | 0.0 | 4.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 00 | განათლება | 21.1 | 0.0 | 21.1 | 21.2 | 0.0 | 21.2 | 21.4 | 0.0 | 21.4 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 78.1 | 0.0 | 78.1 | 67.3 | 0.0 | 67.3 | 72.5 | 0.0 | 72.5 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 347.9 | 0.0 | 347.9 | 401.5 | 1.9 | 399.6 | 381.5 | 0.0 | 381.5 |

## 1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(კოდი 06 00)

აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული ოჯახების და მოქალაქეების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

სოციალური დახმარების მიმღებ (ბენეფიციარი) პირს შეუძლია ერთჯერადად ისარგებლოს სოციალური დახმარების რამდენიმე მუხლით.

### 1.1. მოსახლეობის სოციალური დახმარება(კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებას, მარტოხელა პენსიონერების დახმარებას, მარჩენალდაკარგული პირების დახმარებას, ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას,დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების, ახალშობილთა ბავშვების დაბადებისათვის ოჯახის დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

#### 1.1.1. ავადმყოფთა და შ შმ პირთა სოციალური დახმარებები (კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დაფინანსდება:

ა) ზემო აფხაზეთიდან დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, მოხდება სპეციალური სავარძლის შეძენა, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს;

ბ) ბიუჯეტიდან ანაზღაურდება იძულებით გადაადგილებული ონკოლოგიურად დაავადებული პირების ოპერაციის, მკურნალობის, დიაგნოსტიკისა და დაავადებასთან დაკავშირებული

გამოკვლევებისა და მედიკამენტების ხარჯები. დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, საბიუჯეტო წლის განმავლობაში;

გ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მკვეთრად და მნიშვნელოვნად და ბავშვობიდან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების ერთჯერად დაფინანსება (თითოეულ ბენეფიციარზე – 200 ლარის ოდენობით);

დ) ქვეპროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საწოლიდან ადგომა აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეძენილი იქნება სპეციალური სამედიცინო მოწყობილობა (ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 250 ლარს);

ე) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების ოპერაციები(გარდა საკეისრო კვეთისა) და მასთან დაკავშირებული ხარჯები და ასევე ოპერაციასთან დაკავშირებული მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები, თუ ოპერაციული ჩარევიდან, მუნიციპალიტეტში მომართვის თარიღამდე გასული პერიოდი არ აღემატება სამ თვეს.. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს, ხოლო ცალკე მედიკამენტოზური მკურნალობის ნაწილში – 250 ლარს;

ვ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების მიერ წარმოდგენილი ფორმა №100-ის საფუძველზე, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, სხეულის ერთი ან რამდენიმე ორგანოს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევა ან/და კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევა, რაც ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 500ლარის ოდენობას;

ზ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების კორონაროგრაფიული კვლევის ხარჯები, მათ მიერ წარმოდგენილი ფორმა №100-ის საფუძველზე. აღნიშნული მომსახურების ანაზღაურება მოხდება 2018წლის განმავლობაში და ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 900 ლარს;

თ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით ანაზღაურდეს, იძულებით გადაადგილებული მცირეწლოვანი ბავშვების (0-10წლამდე), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, სამედიცინო მომსახურების (მათ შორის სარეაბილიტაციო პროცედურები, მედიკამენტების შეძენა, დაავადებათა შემდგომი პრევენცია) ხარჯები, მათთვის განსაკუთრებულ პირობებში და გადაუდებელ შემთხვევაში, ჯანმრთელობის მოშლის ისეთი ფორმის არსებობისას, როდესაც მათი სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია, ან/და როდესაც სახეზეა დაინვალიდების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების აშკარა და გარდაუვალი საფრთხე და რასაც უპირობოდ უკავშირდება დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების აუცილებელი განხორციელება;

ი) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 1992 წლიდან – 2004 წლამდე საომარი მოქმედებისა და სამხედრო დავალების შესრულების დროს მიღებული მძიმე ტრამვის(კიდურების: ხელის,ფეხის ამპუტაცია) დაინვალიდებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით);

კ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად ფულად დახმარება გაეწევათ ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის იძულებით გადაადგილებული შემდეგი კატეგორიის ბავშვებს;

ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობა დაქვეითებული, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, იშვიათი დაავადებებით დაავადებულ და დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვებს გაეწევათ სოციალური ფულადი დახმარება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ბ) ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, იშვიათი დაავადებებით დაავადებულ და დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების სამედიცინო და სოციალური დახმარების ფარგლებში, მოხდება: ოპერაციული მკურნალობის, სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის სპეციალიზებულ დაწესებულებებში მომსახურების ანაზღაურება ერთჯერადად არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით(ამ ქვეპუნქტითგათვალისწინებული დაფინანსების მიმღები პირები ვერ ისარგებლებენ 1.1.1. „ე“ პუნქტით.

1.1.2. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა (კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:

ა) ერთჯერად (200 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები 80-დან 100 წლამდე, ხოლო ერთჯერად (500 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

ბ) ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა პენსიონერები (თითოეული 200 ლარის ოდენობით).

1.1.3. ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (კოდი 06 01 03)

ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის

ა) ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ მარტოხელა მშობელს (დედებს/მამებს) – ერთჯერადი ფულადი დახმარება, თითოეულს 200 ლარის ოდენობით;

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებული მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი 0-დან 18 წლამდე), ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს სამ შვილზე 200 ლარი და ყოველ მომდევნო შვილზე 50 ლარით მეტი;

გ) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს დახმარება მე-3 და მეტი შვილის შეძენისას. (დახმარება განისაზღვრება მე-3 ბავშვის დაბადებისათვის 200 ლარის ოდენობით, მე-4 ბავშვის დაბადებისათვის 400 ლარის ოდენობით და ა.შ. ყოველშემდგომ ბავშვზე 200 ლარით მეტი);

დ) პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე, ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები,რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და ჰყავთ პირველკლასელი ბავშვები (დახმარება გაეწევათ თითოეულს არაუმეტეს 40 ლარის ღირებულების სასკოლო ჩანთით);

ე) პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად, 200 ლარის ოდენობით, დახმარება გაეწევათ იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს 0-დან 18 წლამდე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და არიან მარჩენალდაკარგული პირები.

ვ)ერთჯერად (1500 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი (0-დან 18 წლამდე) იძულებით გადაადგილებულ ბავშვები.

1.1.4. ომში დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა (კოდი 06 01 04)
ერთჯერადი (500 ლარის ოდენობით) ფინანსური დახმარება გაეწევათ ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში.
1.1.5. სოციალური დახმარებები (კოდი 06 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ:

